სამშენებლო შეფასება

ანგარიშზე „ქ. თბილისში, აგლაძის ქ. № 79-ში (ს.კ. 01.13.04.020-058) ორი 12 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები"

შ.პ.ს. „გეო ბილდერსთან" ხელმძღვანელობის თხოვნით, ჩვენს მიერ 2018 წლის ივლისში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, აგლაძის ქ. № 79-ში (ს.კ. 01.13.04.020-058) ორი 12 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისი, აგლაძის ქ. № 79-ში (ს.კ. 01.13.04.020-058) ორი 12 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია საინჟინრო-გეოლოგიური ცენტრის შ.პ.ს. „საინჟგეო"-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2018 წლის ივნისში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟ. გეოლოგი თ. ხახავა. მათ ლაბორატორიაში შესრულებული იქნა გრუნტების თვისებათა განსაზღვრა. რაც შეეხება კლდოვანი ქანების თვისებათა განსაზღვრას, იგი ჩატარდა გ. წულუკიძის სახელობის სამთო საქმის ინსტიტუტში.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი, აკრეფილი კომპიუტერზე ..... 14 გვ.
2. ტექნიკური დავალება ..... 1 გვ.
3. კვლევის პროგრამა ..... 1 გვ.
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე ..... 6 გვ.
5. ცხრილი გრუნტის წყლის ქიმიურ შედგენილობაზე ..... 2 გვ.
6. მოედნის ტოპოგეგმა ..... 1 ფურც
7. სამთო გამოხამუშევრების ლითოლოგიური სვეტები ..... 2 ფურც.
8. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ..... 3 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს ორი 12 სართულიანი საცხოვრებელი სახლი ერთი მიწისქვეშა სართულით. კონსტრუქციულად შენობები გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შეკედა იქნება აგურით, ან ბეტონის წერილი ბლოკებით. რაც შეეხება სამრკეთლის ტიპსა და ჩაღრმავებას, ის გადაწყდება მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების შემდეგ.

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დანგით გაყვანილი იქნა 8 ჭაბურღილი. მათი საერთო სიგრძე შეადგენს 40.0 მეტრს. ჭაბურღილებიდან ამოღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის შედეგად მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ტექნოგენური გრუნტი.
2. ფენა 2 – თიხა, მყარი კონსისტენციის.
3. ფენა 3 – კუნჭნარი, ქვიშის შემავსებლით (15-20%).
4. ფენა 4 – ძირითადი ქანები, არგილიოების და ქვიშაქვების მორიგეობა გამოფიტული.
5. ფენა 5 – ძირითადი ქანები, არგილიოების და ქვიშაქვების მორიგეობა სუსტად გამოფიტული.

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და კლიმატური პირობები. მოცემულია ზემოაღწერილი ქანების დახასიათება და მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები. ჩატარებული საველე და ლაბორატორიული მოხაცემების ანალიზის საფუძველზე ავტორი იძლევა წინადადებას მომავალი შენობისათვის ფუძე-გრუნტების შერჩევის თაობაზე.

უბნის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გახსნილი იქნა მიწის ზედაპირიდან 2.5-3.0 მ სიღრმეზე. დამყარებული დონე 2.4-2.9 მ/ წყალი როგორც ანალიზებმა აჩვენა არ არის აგრესიული ბეტონის ნაკეთობის მიმართ.

დასკვნა

ქ. თბილისი, აგლაძის ქ. № 79-ში (ს.კ. 01.13.04.020-058) ორი 12 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. ჩვენს მიერ გამოთქმული ცალკეული შენიშვნები ჩატარებული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა მხედველობაში და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას. იგი შეიძლება საფუძვლად დაედოს მშენებლობის პროექტს საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ნ. ჯოხონელიძე

CV - ჭობონელიძე გუგა

გვარი, სახელი, მამის სახელი	ჭობონელიძე გუგა ილიას ძე
ბინის ტელეფონის ნომერი	ქ. თბილისი, კეკელიძის №10, ბინა 25 ტელ.: 2-22-00-44
დაბადების თარიღი	1928 წლის 16 თებერვალი
განათლება	1945 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 12 ვაჟთა სკოლა, 1950 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტ სამშენებლო ფაკულტეტი, მშენებელ-ინჟინერის სპეციალობით, 1972 წელს დავამთავრე იგივე ინსტიტუტი, ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით.
მინიჭებული კვალიფიკაცია	1974 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი) 1975 წელს პროფესორი საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი) 2000 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის - აკადემიკოსი
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1950-1958 წწ. ჰიდროგეოლოგიისა და მელიორაციის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; 1958-1974წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში; 1983 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტ გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების მიმართულ ხელმძღვანელი
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებულია 98 სამეცნიერო შრომა, მათ შორის მონოგრაფი „საქართველოს ლიოსისებური გრუნტები“ (1976წ) და „ამიერკავკასიის ლიოსისებური გრუნტები“ (1988 წ.) შესწავლილი და ანგარიშები დაწერილი მაქვს ინგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქ. თბილისის,. ქ. რუსთავის სობუმისა და ქ. ფოთის საინჟინრო „გეოლოგიურ პირობებ გაცემული მაქვს 100-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა მშენებლობას დაკავშირებული ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე. მაქვს გამოგონებები გრუნტების გამაგრებაზე. ვარ ავტორი სახელმძღვანელოებისა: „გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები“ 2005 წ. და „ საინჟინრო ნაგებობები“ (2012 წ.). ვარ ავტორი სამშენებლო ნორმების: 2.02.01 – 2003 წ. „შენობა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლები“.
უცხო ენების ცოდნა	ქართული - მშობლიური; რუსული - კარგად; ინგლისური - ლექსიკონის დახმარებით

АТТЕСТАТ
ПРОФЕССОРА

ПР № 005702

Москва

Решением
Высшей аттестационной комиссии
при Совете Министров СССР
от 23 ноября 1979 г. (протокол № 37)

Чохонелидзе Гуго Ильичу

ПРИСВОЕНО УЧЕНОЕ ЗВАНИЕ

ПРОФЕССОРА

ПО КАФЕДРЕ

гидрогеологии и инженерной геологии

Председатель
Высшей аттестационной комиссии

Главный ученый секретарь
Высшей аттестационной комиссии

დიპლომი

Я № 168169

ეს დიპლომი მიეცა გუგა იდიას ძე
ჭოხონელიძეს
მასზე, რომ იგი 1961 წელს შევიდა ვ.ი.ლენინის
სახ. შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1972 წელს დაამთავრა
აღნიშნული ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით ჰიდროგეოლოგია
და საინჟინრო გეოლოგია

სახელმწიფო სფუამოცდო კომისიის 1972 წ.
„30" ივნისის გადაწყვეტილებით
გიგა ჭოხონელიძეს მიენიჭა
ჰიდროგეოლოგის საინჟინრო-
კვალიფიკაცია.

სახელმწიფო სფუამოცდო კომისიის თავმჯდომარე

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1973 წ. „2" აპრილი

სარეგისტრაციო № ГЕ-205

Грузинский яз.

შპს „შენობა-ნაგებობათა კვლევისა და
ექსპერტიზის ცენტრი"
LTD „THE CENTER OF BUILDING RESEARCH
AND EXPERTISE"

თბილისი, თამარ მეფის გამზირი 5ა
Tamar Mefis gam 5a, Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32227704, E-mail: expertisecntr@gmail.com

05.11.2018 № 08-07-91
თქვ. №

საექსპერტო დასკვნა

2018 წლის 6 აგვისტოს შპს „გეობილდერსი"-სთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შპს „შენობა-ნაგებობათა კვლევისა და ექსპერტიზის ცენტრი"-ს ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა საექსპერტოდ წარმოდგენილი ქ. თბილისში, აგლაძის ქუჩა #79 (ს.კ. 01.13.04.020.058) მრავლბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი.საექსპერტო დასკვნა ორ ეგზემპლარად ჩაბარდა დამკვეთს.

2018 წლის 30 ოქტომბერს შპს „გეობილდერსი"-ს მოთხოვნის საფუძველზე შპს „შენობა-ნაგებობათა კვლევისა და ექსპერტიზის ცენტრი"-ს ექსპერტების მიერ დამატებით განხორციელდა კორექტირებულ კონსტრუქციულ პროექტისა და საანგარიშო მოდელის საექსპერტო შეფასება.

არქიტექტურული გეგმარებიდან გამომდინარე კორექტირება განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელიკომპლექსის როგორც A ასევე B ბლოკში. კერძოდ:

A ბლოკში გ და 4 ღერძების კვეთაზე მდებარე პილონები, ხოლო B ბლოკში კი ა ღერძისა და 2; 3; 4 ღერძების კვეთაზე მდებარე პილონები მობრუნდა 90^0-ით საკუთარი ღერძების მიმართ შენობის მთელ სიმაღლეზე.

ექსპერტთა მიერზემოთ აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით შეფასებული იქნა კორექტირებული საანგარიშო მოდელი და კონსტრუქციული მუშა ნახაზები. საექსპერტო შეფასებისას დადგენილი იქნა, რომ შენობის კონსტრუქციულიელემენტებისარმირებებიშეესაბამებაკომპიუტერულისაანგარიშომოდ ელისდაბაბულ-დეფორმირებულიმდგომარეობისსაფუძველზემიღებულარმირებებს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლებაგაკეთდესდასკვნა, რომმრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის A და B ბლოკის კორექტირებული კონსტრუქციული პროექტი აკმაყოფილებს სმდგრადობის, სიმტკიცის დადეფორმაციის შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს.

საექსპერტიზოდ წარმოდგენილი კორექტირებული პროექტი ფასდება დადებითად და ეძლევა რეკომენდაცია დასამტკიცებლად.

ექსპერტი,
პროფესორი დ. ტაბატაძე

5.11.2018 წ